



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



595

ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № ---

4 ნოემბერი

“ --- ” ----- 2022 წ

ქ. თბილისი

მისამართზე - ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №34 (ს/კ. №01.18.09.004.059) - არსებული დაუმთავრებელი სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს „მეტი დეველოპმენტის“ (ს/ნ. 404541812) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლისა და „მისამართზე - ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №34 (ს/კ. №01.18.09.004.059) - არსებული დაუმთავრებელი სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს „მეტი დეველოპმენტის“ (ს/ნ. 404541812) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 2 ნოემბრის №22.1696.1820 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „მეტი დეველოპმენტის“ (ს/ნ. 404541812) მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება №21.1862.2095, 28.12.2021) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულება №94, 29.12.2021) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, მისამართზე - ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №34 (ს/კ. №01.18.09.004.059) - ხარვეზის გამოსწორებისა და შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე;

ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს (კ-2) - 24.53;

ა.ა) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში მისანიჭებელი - მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) - 24.53 საანგარიშო ფართობიდან (45 622 მ²) ნაწილი, (10 000 კვ.მ.) გამოყენებულ/გადატანილ იქნას მისამართზე - ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. №9ა, ბ, გ, ე (ს/კ. №01.17.12.003.183 და №01.17.12.003.255) - არსებულ მიწის ნაკვეთებზე, მშენებლობის განვითარების მიზნით; ამასთან, სარეალიზაციო ფასთა სხვაობის გათვალისწინებით გადასატანი მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართი განისაზღვროს არაუმეტეს - 13 310 კვ.მ-ით (მიწის ნაკვეთზე: ს/კ. №01.17.12.003.183 - არაუმეტეს 3,615.33 კვ.მ-ით; მიწის ნაკვეთზე: ს/კ. №01.17.12.003.255 - 9,694.67 კვ.მ-ით);

ა.ბ) მისამართზე - ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 34 (ს/კ. №01.18.09.004.059) - შეთანხმდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართის - არაუმეტეს 35 622 კვ.მ -ის ფარგლებში. ამასთან, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს (კ-2) – 19.15 -ით;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2021 წლის 27 დეკემბრის №29 სხდომის ოქმით და ამავე კომისიის 2022 წლის 28 ოქტომბრის №15 სხდომის ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებები (დაზარალებულებისთვის გადასაცემი ფართები) შესრულებულ იქნას მისამართზე - ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 34 (ს/კ. №01.18.09.004.059);

გ) მისამართზე - ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. №9 ე (ს/კ. №01.17.12.003.183) არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს (კ-2) - 4,9-ით, ხოლო, მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) განისაზღვროს იმ მოცულობის გათვალისწინებით, რაც ფაქტობრივი მდგომარეობით არ არის ათვისებული;

დ) მისამართზე - ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. №9ა,ბ,გ, (ს/კ. №01.17.12.003.255) არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს - არაუმეტეს 5,91-ით. მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი (კ3) განისაზღვროს არსებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრული ზონირების შესაბამისად. მიწის ნაკვეთზე ამჟამად არსებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) – 4,6 იმ ნაწილს, რომლის სრულად ან ნაწილობრივ ათვისებაც შესაძლებელი იქნება ქალაქმშენებლობითი ან/და სამშენებლო დოკუმენტაციის დამტკიცების ეტაპზე, დაემატოს (კ-2) - 1,31 (განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართი არაუმეტეს - 9 694,67 კვ.მ). მაგალითად, თუ ქალაქმშენებლობითი ან/და სამშენებლო დოკუმენტაციის შეთანხმების ეტაპზე მოხდება (კ-2) 4,6-დან პირობითად - (კ-2) 4,0 კოეფიციენტის ათვისება, იმ მოცულობას, რომლის ათვისებაც ზემოხსენებული ეტაპების მსვლელობისას, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით შესაძლებელი იქნება, დაემატოს (კ-2) – 1.31 (განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართი არაუმეტეს - 9 694,67 კვ.მ-ს ფარგლებში);

ე) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ. №01.17.12.003.183) და (ს/კ. №01.17.12.003.255) არ იქნას გათვალისწინებული - გადაძეგვრულ ფართზე სიმაღლის რეგულირების განმსაზღვრელი ნორმები;

ვ) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება, არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს მიწის ნაკვეთზე (ს/კ. №01.17.12.003.183) ავტოსადგომების რაოდენობის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;

ზ) მისამართზე - ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. №9ა, ბ, გ, (ს/კ. №01.17.12.003.255) - განსახორციელებელი მშენებლობის მიმართ, გავრცელდეს ასევე „ქ. თბილისში, გორგასლის ქ. 34-ში (ს/კ. №01.18.09.004.059) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს „მეტი დეველოპმენტის“ (ს/ნ. 404541812) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №94 განკარგულების პირველი პუნქტის „ე“-„ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები (ამასთან, ამავე პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის ოდენობა, ორივე მიწის შემთხვევაში რჩება უცვლელი ოდენობით);

თ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2021 წლის 27 დეკემბრის №29 სხდომის ოქმით და ამავე კომისიის 2022 წლის 28 ოქტომბრის №15 სხდომის ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებების გარდა, აღნიშნულ სამშენებლო ობიექტებთან მიმართებაში (მისამართებზე, ქ. თბილისი: გორგასლის ქ. 34 (ს/კ. №01.18.09.004.059), მოსკოვის გამზ. №9ე (ს/კ. №01.17.12.003.183) და მოსკოვის გამზ. №9ა, ბ, გ, (ს/კ. №01.17.12.003.255)), სხვა პირთა მიმართ ფართის ან ფულადი სახით გასაცემი ვალდებულებების დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი ვალდებულებები შესრულებულ იქნას დაინტერესებული პირის - შპს „მეტი დეველოპმენტის“ (ს/ნ. 404541812) მიერ;

ი) მისამართზე - ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. №9ა, ბ, გ, (ს/კ. №01.17.12.003.255) მშენებლობის ნებართვის გაცემის ერთ-ერთ წინაპირობად განისაზღვროს: ეს მიწა (ს/კ. №01.17.12.003.255) უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის და ყადაღა/აკრძალვის ნაწილში;

კ) მისამართებზე - ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. № 9ა,ბ,გ,ე (ს/კ. №01.17.12.003.183 და №01.17.12.003.255) მშენებლობის ნებართვების გაცემის ერთ-ერთ წინაპირობად განისაზღვროს: დაინტერესებული პირი - შპს „მეტი დეველოპმენტისათვის“ (ს/ნ. 404541812) ამ მიწებზე უნებართვო/სანებართვო პირობების დარღვევით განხორციელებული მშენებლობისათვის, ან სხვა სამშენებლო სამართალდარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმ(ებ)ის გადახდა.

განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

